საქართველოს სახელმწიფო ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო

ოთხშაბათი
4 ნოემბერი.
წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 ან. ცალკე ნომერი ერთი შაური, დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერელებს [illegible] ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 214 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 214

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო“
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნომერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები. რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

1915 წ. ნოემბერი 5 ხუთშაბათი

„ქართული დრამა“. № 17
ქალაქის თეატრი.
დანიშნულია წარმოდგენა საღამოს 8 საათზე
პირველად ახალი პიესა
სალომეს ოჯახი
3 მოქმ.
ავტორი: ტ. რიმიშვილი
წარმოდგენის დაწყებამდე **შ. დადიანი** წარმოსთქვას რამდენიმე სიტყვას პიესის შესახებ.
მონაწილეობს მთელი დასი.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
რეჟისორი **შალვა დადიანი.**
ადმინისტრაცია „ქართული დრამის“ ამხ-სა. 2—1

ანონსი:
მზადდება
ვ. გუნიას „და ძმა“, მეიერის „მეტმეტვიდრე ჰრინცი“.

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი
ორშაბათიდან, 2 ნოემბრიდან სეზონის სენსაცია.

მოცეკვავე შავი ყავახანისა.
სენსაციური დრამა 6 ნაწ. იტალიელი გამოჩენილი მსახიობ ქალის **ფრანჩესკი ბერტინის** მონაწილ.
1 ნაწ. შავებთა კლუბი, 2—შეცდენა, 3—პლანის გაგება, 4—ახალი ცხოვრება, 5—სასტიკი ბედი, 6—სამაგიეროს გადახდა.
ბოკსი კომიკური **რუსულათ**

დაიბეჭდა და **იყიდება** ქუთაისში მთავრიშვილის და ამხ. და თბილისში სერ. კითხვის ხაზ. წიგნის მაღაზიაში
სამსონ დათეშიძის მიერ შედგენილი
„სახატავი ნიმუშები და ქართული დედანი“,
ფასი 25 კაპ. მე-4-ე გამოცემა. ეს გამოცემა საკუთრებად შეძენილია მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიისაგან. 10—9

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა
„რუსეთი“ („როსსია“),
სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.
პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდენ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვევონ თავი. ტელეფონი № 26
წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყონებლივ მიეცემა.
თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ღოღობერიძე.**

კბილის ექიმი
ვ. მგელაძე—ბალიცკისა
ღებულობს ავათმყოფებს დილის 9 ს.—12 საათ., საღამოთი 4—5 საათამდი.
მისამართი: თბილისის ქუჩა, ვლ. წერეთლის სახლში. თ.

ექიმი მულინი
ყელის, ცხვირისა და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი. კვირეს გარდა.
თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.

ექიმი **ბ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დიდის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ს. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

ექიმი **ბაბრიელ იოსების ძე გოკიელის**
ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.
შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ.
ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

ბეჭდა **ვ. ვ. კოხრეიძე**
უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

სუშალო სასწავლებლის უნტროს კლასებისთვის, უმაღლეს დასწეულს 4 კლასიან სასწავლებლის უფროს კლასისათვის **ვამზადებ მოწაფეებს,** ეგზამენის დაჭერა უზრუნველ ყოფილია.
მისამართი: ივანოვის ქუჩა, ჰარიკმახერის ნიკიფორე ქათამაძის სახლი № 32.
პირობების შეტყობა შეიძლება საღამოს 4—6 ს.

მასაჟით სამ-კურნალო კაბინეთი
მარ. ბალანჩივაძისა.
ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათყოფობას. ამასთან ვუცრი ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძისსახლი. თ

კბილის ექიმი **რ. პ. სვანაძი**
ასული
მიიღებს 10—3 და 5—7 საათამდე.
თბილისის ქუჩა, ელიგულაშვილის (ყოფილი ჯორჯიკიას) სახლში.

ექიმი **ი. ჩარეიძოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 —2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.

პეტროგრადი. 1 ნოემბერი. ოფიციალური. დასავლეთის ფრონტი. რიგის ფრონტზე ჩრდილოეთით მდებარე კანგერის ტბებთან გერმანელები კვლავ შევიწროებულ იქნენ 5—6 ვერსის მანძილზე. რიგის ზემოთ დვინაზე მოწინავე ნაწილებს შორის შეტაკება იყო ოსტრდალენას რაიონში. ილუკსტთან ჩვენმა ჯარმა ზოგიერთ ადგილს გადალახა ხელოვნური დაბრკოლებანი და დაიკავა სასაფლაოს ნაწილი ამ დაბისა. დ. ფრისვიატის ფრონტზე გერმანელების მძიმე არტილერიის ცეცხლს გვიშენდა. დანარჩენ ფრონტზე მდ. პრიპიატამდი სიწყნარეა. ჩარტორიისკის ჩრდილოეთითა და დასავლეთით მოპირდაპირის მძიმე არტილერია 31 ოკტომბერის განმავლობაში გრიგალისებურ ცეცხლს უშენდა ჩვენი ბანაკის ზოგიერთ პუნკტს. ამავე დღეს საღამოთი მტერმა წინ წამოიწია პოდგატიეს აღმოსავლეთით. მდ. სტირის ფონების წინ ბრძოლა კვლავ გძელდება. დანარჩენ ფრონტზე სამხრეთით და გალიციის ბრძოლის ველზე სიწყნარეა. გასული თვის განმავლობაში წამოყვანილია ტყვეთ ავსტრო-გერმანელები სულ 674 აფიცერი და 49,200 ჯარის კაცი. წავართვით: 21 ზარბაზანი, 118 ტყვიის მფრქვეველი, 18 ყუმბარების მტყორცნელი და 3 პროჟექტორი.

კავკასიის ფრონტი.

შავი ზღვიდან მდ. არაქსამდი მოწინავე რაზმთა შორის შეტაკებაა. ვანის ტბიდან ჩვენი სამხედრო გემი ყუმბარებს უშენდა ოსმალთა პოზიციებს სოფ. ახტამარის რაიონში. ჩვენი ფრონტის ზოგიერთ ადგილას თოვლის სისქე სამ არშინამდია.

——

დანარჩენი დეპეშები იხილეთ მეოთხე გვერდზე.

ომის ამბები.

ბალკანეთი.

რუმინეთში მყოფი სერბიის საელჩო ოფიციალურათ აცხადებს, რომ სერბიელებმა მდ. მორავის მარჯვენა ნაპირზე ყველა პოზიცია შეინარჩუნეს, მიუხედავათ იმისა, რომ ბულგარეთმა მრავალრიცხოვან ჯარს მოუყარა თავი სერბიელების დასამარცხებლათ. ბრძოლა გრძელდება სვილიავაჩ-ჩეტონიეს ხაზზე და მორავის მარჯვენა ნაპირზე. შუნიჩ-სინიჩის ხაზზე გაცხარებული ბრძოლაა. ავსტრო-გერმანელები ჯარის კაცებს არ ზოგავენ გამარჯვების მოსაპოვებლათ. მარცხენა ფრონტზე მტერმა იერიშების მოტანა შეაჩერა სერბია-ბულგარეთის ფრონტზე ბრძოლა დღე და ღამე სწარმოებს რვა დღის განუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ სერბიელებმა დასტოვეს ზაიჩარ-პიროტი და მთებისკენ დაიხიეს.

——

ბულგარეთის უკანასკნელი ცნობით, ბულგარლებს სებერძნეთის საზღვარზე დიდძალი ჯარისთვის მოუყრიათ თავი.

——

„ტიმეს“ კორესპონდენტი იტყობინება დასავლეთის ფრონტიდან, რომ გერმანელებს ამ ბოლო დროს სამხედრო სურსსთი აკლიათო.

——

სერბიის მეფემ პეტრემ უარი განაცხა და ჩერნოგორიაში გადასვლაზე. იგი მიტროვიცაში რჩება. მოკავშირენი წინ მიიწევენ გევგელიდან. ჩრდილო-დასავლეთით. ფრანგები გრადისკამდი მივიდენ.

——

არდენში ცეპელინი ჩამოაგდეს. ეკიპაჟი გადარჩა.

ნიუიორკში ფრანგების გემზე „როშამბო“-ზე ცეცხლმა იფეთქა. ცეცხლი გაჩნდა ყუმბარებისაგან, რომელიც გერმანელ აგენტს მიეუწყვია.

——

პარიზში მოხდა თათბირი, რომელზეც დაესწრენ: კიტჩენერი, ბრიანი, გალიენი და ჟოფრი.

——

რუმინეთში მყოფმა ავსტრიის ელჩმა ჩერჩინმა ამერიკის ელჩს წარუდგინა პროტესტი, ვითომც სერბიელები ავსტრიელ ტყვეებს უდიერათ ეპყრობოდენ. და თუ ასეთი ზომები არ შეაჩერესო, ნათქვამია პროტესტში, ავსტრიელები სასტიკ ზომებს მიმართვენ ტყვე სერბიელების წინააღმდეგო.

ბუქარესტიდან იტყობინებიან: ესადფაშამ მთელს ალბანეთში საალყო წესები გამოაცხადა და აკრძალა სანოვაგის გაზიდვა სერბიასა და მთაშავეთში.

——

ალბანეთში ავსტრიის აფიცრები მოვიდენ, რომ შეადგინონ დაქირავებული ჯარისაგან რაზმი სერბიისა და მთაშავეთის საწინააღმდეგოთ.

——

„კორეს პოდენტ ბიურო“ ირწმუნება, რომ ავსტრიელებმა გარშემოვლითი მოძრაობით იერიში მიიტანეს ჩიციმოტიკზე, გრანოვოს აღმოსავლეთით. მთაშაველებმა დაიხიეს. ტრიბინის აღმოსავლეთით ავსტრიელებმა რამდენიმე სიმაღლე აიღეს. ავსტრიის სამხრეთით ავსტრიელებმა დაიხიეს. კევესის ჯარი კოსაკის სამხრეთით სერბიელებს ავიწროებს. გერმანელები კრაევს უახლოვდებიან. გალიციის ჯარმა პარაზინი დიუბრიუჟაკი და ტრესნეკიცა დაიკავა.

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, ბულგარებს ველესთან გარს შემოერტყნენ ინგლის-საფრანგეთის ჯარიო.

ბულგარებმა მოითხოვეს დროებით ბრძოლის შეჩერება, რათა დახოცილნი და დაჭრილნი მოეკრიფათ.

— სერბეთის მთავრობა მიტროვიცაში გადადის, რომლის მხრისკენაც სერბეთის ჯარი წესიერად უკან იხევს გზა-გზა სურსათს არ სტოვებენ და არც სულით ეცემიან.

ის ცნობა, ვითომც ბულგარებს ვალენდოვო აღლოთ, სიმართლეს მოკლებულიაო.

ქრონიკა.

რუსეთი.

გაზეთების გაყიდვა.

პეტროგრადის ქალაქის თვითმართველობას სამოქალაქო ინჟინერმა ვ. ა. რიმსკი-კარსაკოვმა წინადადება მისცა, რომ მას მისცეს ქალაქმა განსაკუთრებით გაზეთების გაყიდვის ნება ტრამვაის ვაგონებში. საკონცესიოს წელიწადში იძლევა 20000 მანეთს, და ეყოლება 200 კაცისაგან შემდგარი არტელი. თუ არტელის რიცხვს მოემატა 50 კაცი, იხდის კიდევ 2000 მანეთს. კონცესიის ვადათ ნიშნავს 10 წელიწადს. პასუხისმგებელია დააკმაყოფილოს არტელის წევრი, თუ რაიმე უბედურება შეემთხვევა ტრამვაიზე. წევრები დაიზღვევიან საქმის **დაწყების** ხარჯით. ინჟინერს განზრახვა აქვს არტელი შეადგინოს ომში გაწვეულთა ოჯახების წევრთაგან. ტრამვაის მმართველობა თანაგრძნობით შეხვდა ამ წინადადებას და საკითხი გადასცა იურისკონსულტს დასასკვნელათ.

საყოველთაო სწავლა.

გძელდება თათბირი საყოველთაო სწავლის შემოღებაზე.

სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებული ბიურო სურვილს გამოსთქვამს საყოველთაო სწავლის შემოღების შესახებ. ამასთანავე სკოლის გახსნისათვის საჭიროა მხოლოდ უბრალო **განცხადება** სამოსწავლო საბჭოს წინაშე.

რაც შეეხება პიროპებს, თუ როგორ პირობებში უნდა მოხდეს საყოველთაო სწავლის შემოღება, ბიუროს აზრით, თითოეულ მასწავლებელს უნდა ყავდეს 50 მოწაფე. სწავლის კურსი 4 წლიანია, ხოლო ადგილობრივი პირობების მიხედვით

შეიძლება იყოს სამ წლიანიც. სამოსწავლო დღე წელიწადში ქალაქებში უნდა იყოს 180, სოფლებში კი—160. სწავლა უფასო იქნება. შტატის მასწავლებლებს გარდა მოწვეული იქნებიან სათადარიგო მასწავლებლები, რომელნიც პირველთა მოვალეობას ასრულებენ საჭიროების დროს და ისეთივე უფლებები ექნებათ სამსახურში, როგორც შტატის მასწავლებლებს.

ქართული პრესა.

როდესაც ჩვენ გაზეთში **დასელის** წერილებს ვათავსებდით—გატეხილი უნდა მოგახსენოთ—ჩვენი აზრი იყო დანამდვილებით გაგვეგო, რას იტყოდა ბ-ნი ანი—ეს ფრიად გამოცდილი, დაკვირვებული და ჭირნახული დასელი—იმ უკიდურესობაზე, რომელსაც ადგია ჩვენებურ დასელთა უმრავლესობა **„ბურჟუა—არაბურჟუათა“** დამოკიდებულების საქმეში.

ჩვენ ყოველთვის იმას ვქადაგებდით, რომ დასელების **უკიდურესობა** ჰქმნის იმ შეღლსა და უპატივცემლობას; რომელიც ჩვენში—საქართველოში—არსებულ ჯგუფთა მოღვაწეების უსამართლო გაბატონებრუბა და ლანძღვა გინებას იწვევს და აუცილებლათ საჭიროა, რომ გამოინახოს ისეთი საერთო რამ, რომელმაც ამა თუ იმ ჯგუფის მოქმედება საერთო, საქვეყნო საქმის გაკეთებას მოხმარდესო.

ამისთანა ქადაგებისათვის ჩვენ არა ერთი და ორი უსიამოვნება მოგვაყენეს და ამ ბოლო დროს ხომ **„მემარჯვენე ნაციონალისტებათაც“** კი მოგვნათლეს, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ჩვენ იმ თავითვე მხოლოდ ის გვიქადაგნია, რასაც ამბობს დღეს ბ-ნი ანიც.

ეი რასა სწერს იგი **დასელის** საპასუხოთ:

> დასელი იძახის, განა შეუძლია პროდეტარიატს—ბურჟუაზიასთან ერთათ იარაზო. ამ ორ კლასს შორის დრმა ეკონომიური წინააღმდეგობაა, მარა ევროპაში მათ შორის ხომ კიდევ უფრო მეტი წინააღმდეგობაა. მიუხედავათ ამისა ჩვენ ვიცით, რომ აქ სოც. პარტია და დიბერადები ერთათ გავიდენ' რეფორმისათვის საბრძოლველათ შავების წინააღმდეგ. მოიგონეთ ამ რამდენიმე წლის წინეთ ბელგიის მუშათა პარტიის და ბურჟუაზიის ერთათ ბრძოლა საარჩევნო რეფორმისთვის. ესევე მოხდა ავსტრიაში

ნიშნობა

ბიესა ხუთ სურათად პროლოგით.

გირშბაინისა.

(პროლოგი)

(შემდეგი იხ. „სამშობლო“ № 113).

ხანელე. (ტირილით) მე თანახმა ვარ... ჩაიდინეთ რაც გწადიათ!

პაიე. მამა ჩემი რომ ცოცხალი ყოფილიყო, მაშინ რაბინი საჭირო აღარ იქნებოდა!..

გენახი. არა, რაბინი მაინც საჭიროა. რაბინი ნამდვილი მოციქულია ღმერთთან.

(ხანელეს) წამოდი ჩემთან!

პაიე. მე მზათა ვარ... ჩემი შვილი თანახმაა... (სიჩუმეა).

პესლი. (გამოდის მეორე ოთახიდან, თან მოაქვს ახალი საქორწილო ტანისამოსი) ყველაფერი მზათაა! (სტოლზე აწყობს).

ხანელე. (კისერზე ჩამოეკიდება დედას) ოხ, დედა, შენ რომ იცოდე, როგორ მეშინია... როგორ მიცემს გული!.. როგორ შემიძლია ასეთი სიტყვები ვუთხრა. მას ხომ ნახული აქვს ეს ტანისამოსი... ნათქვამი მაქვს, რომ ამ ტანისამოსში დავიწერდი ჯვარს!

პაიე. სტოლზე აწყვია საქორწილო ტანისამოსი, თქვენ კი მწუხარებით ავსებთ ოთახს!

გენახი. (ხანელეს) ჩემო შვილო, ჩემო იმედო... მე მაქვს ნება...

პესლი. მეც... დედას...

ხანელე. წავალ მასთან, მაგრამ არ ვიცი როგორ ველაპარაკო... შეიძლება მორჩეს კიდეც და... მაშინ უფრო შევიყვარებ...

პესლი. მეც ხომ მიყვარდა ის, შვილო ჩემო... მიყვარდა ძლიერ, მაგრამ შენ უსაყვარლესი ხარ ჩემთვის... შენ სიცოცხლე ხარ ჩვენი. წამოდი, შვილო ჩემო, წამოდი... მეც შენთან წამოვალ... ცრემლით შევსთხოვოთ რომ გვაპატიოს... შეიძლება გვაპატიოს ფიცის გატეხა!.. წამოხვალ?

გენახი. მამას სწადია.. ხანელეც წამოვა.

> და თუ საერთო მტრის წინააღმდეგ ევროპაში შესაძლებელია ამ ორი კლასის ერთობა, რატომ არ შეიძლება რუსეთში, სადაც საერთო მტერი მეტათ დიდი მტერია ხოდო კლასიური წინააღმდეგობა ბურჟუაზიასა და პროლეტარიას შორის ევროპისებურათ გაშეგავებული არაა. ცხადია, ეს არა თუ შეიძლება, აუცილებელიც არის და თუ ეს ვერ ხერხდება ამის მიზეზია მუშათა უკან ჩამორჩენა და პოლიტიკური მოუმწიფებლობა. დოქტრინერებს ეს მოუმწიფებლობა სიმწიფეთ გამოაქვთ, ნაკლულოვანება დირსებათ. ეს კმაყოფილი ხალხია. დასელიც დიდად კმაყოფილია იმით, რომ პეტროგრადის პროლეტარიატმა ბოიკოტი გამოუცხადა სამხედრო სამრეწველო კომიტეტს, თითქოს ეს პოლიტიკური სიბრძნის უკანასკნელი სიტყვა იყოს რუსეთის პროლეტარიატისგან დუმასაც გამოუცხადა ბოიკოტი, ძარა ეს განა ამ ტაქტიკის საგარეგნობას ამტკიცებდა? მუშების ეროვნული გადაწყვეტილების მოწონება დემაგოგობა უფროა, ვინემ ხალხის მოყვარეობა. ამ გადაწყვეტილებას ჩვენ ვიწონებთ მხოლოდ მაშინ, თუ ის ეთანხმება მარქსისტულ მსოფლმხედველობას.

ამნაირათ, საჭიროა მუშების საკმაოთ გათვითცნობიერება. პოლიტიკურათ ამადლება და შეკავშირება, რომ მათ ბურჟუაზიას ოპოზიციურ ბრძოლაში მხარი დაუჭიროს და იმავე დროს თავისი პოზიცია სრულიად დაიცვას. მხოლოდ უვიცი მასა ქმნის დიაკვნების ნიადაგს. (ხაზი ყველგან ჩვენია)

თუ პატივცემული მკითხველი გაიხსენებს ყველა ჩვენ ნათქვამს ჩვენებურ დასელების ტაკტიკის შესახებ საქართველოში მოღვაწეობის დროს წარსულში, თუ მკითხველი მოიგონებს ჩვენ გამოსვლებს მათ წინააღმდეგ, დაგვეთანხმება რომ, ჩვენ იმაზე მეტი არა გვიკიჟინებია რა—დასელებისათვის, რასაც ბრძანებს თავის ოქროს პირით ბ-ნი ანი, და მაშასადამე, დასელებისაგან ჩვენი დევნა და „მემარჯვენეთ“ მონათვლა მხოლოდ „მათი დოქტრინერობის“ ბრალია.

მოვა დრო და უფრო ნათლად გამოარკვევა, თუ რა „მემარჯვენეებიც“ ყოფილვართ. ამ ჟამად კი იმითაც კმაყოფილი ვართ, რომ დიდათ პატივცემული ანი გარკვევითა, მკაფიოთა და დაბეჯითებით ადასტურებს იმ სამწუხარო და

პაიე. ყველა თანახმაა... აანთეთ კიდევ სანთლები... უფრო განათლდეს ეს ოთახი... წადით, მე კი დაგიცდით აქ, სანამ თქვენ სულით განათლებული დაბრუნდებით...

ხანელე. (დედის მხრებზე მალავს თავს. სტირის) ოხ, დედა... როგორ მეშინია... როგორ მეშინია!

(ფარდა.)

სურათი მეოთხე.

(გენახის სახლი. ღამეა. სანთლები ოდნავ ბჟუტავენ ოთახში სიჩუმეა, არავინაა. იმის ქარიშხლის ზუზუნი, სტოლზე აწყვია საქორწილო მოწყობილება).

გენახი. (შემოდის) სახე ძისი შეშფოთებულია, სანთლებს უმატებს. ოთახი უფრო ნათლდება; ქარი ძლიერდება. გენახი ფანჯარასთან მიდის და იყურება. თავისთვის:) არ უნდა მექნა ეს!—არ შეიძლებოდა!.. ჩემი წესქვილი დაინგრევა... ნიაღვარი ჩამოიტანს მთიდან. (ქარი უფრო მწვავეთ ზუზუნებს, გენახი გარბის ოთახიდან).

(პესლი და ხანელე შემოდიან, ხანელეს სახე გაფითრებია შიშისაგან.)

პესლი. ოხ, რა უბედურებაა!.. ვისი ცოდვითაა ეს?

ხანელე. შეინახე ჩემი ტანისამოსი, დედა! მეშინია, რომ ვხედავ..

პესლი. (გააქვს ტანისამოსი მეორე ოთახში) თავო ჩემო.. გულო ჩემო... ღმერთო მაღალო, რა მომივიდა! (ბრუნდება).

ხანელე. დედა, მცივა!..

პესლი. (ჰკოცნის ხანელეს) დაე ჩემი ცრემლები და შენი სიმწუხარე შეერთდეს ერთად და ვედრებათ იქცეს!.. იქნებ მაშინ გვისმინოს ღმერთმა! (ხვევს თავშალში).

ხანელე. (სტოლთან ზის ჩუმათ და შეშინებული იცქირება.)

პესლი. (ფანჯარაში იხედება). რა საშინელი ღამეა!.. როგორ შეუძლია ერთმა დაიხსნას წესქვილი წაქცევისაგან: ყველაფერს ჰკლეჯს ეს ტიალი... (ხანელეს) წავიდეთ, ხანელე, წავიდეთ მამაშენთან, ვნახოთ, რა დაემართა!

> განსაკუთრებით, ჩვენთვის—ქართველებისათვის,—მაკნებელ მოვლენას რომ **„დოქტრინერებს მიუმწიფებლობა სიმწიფეთ გამოაქვს, ნაკლულოვანება ლირსებათ“** და **„ხოლოდ უვიცი მასსა ქმნის დიაკვნების ნიადაგს.“**

ეი სწორეთ ამ „დიაკვნური ნიადაგის“ გაწმენდას მოვითხოვდით (და მოვითხოვთ შემდეგშიაც) და ჩვენი გულის თქმაა „უვიცი ქართველი მასსა“ გათვითცნობიერდეს და მშობლიურ ნიადაგზე ემსახუროს თავის ქვეყნისა და კაცობრიობის წინსვლის საქმეს.

ი. ცანი.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

2 ნოემბერს, ქუთაისის ქალაქის საბჭოს კრებაზე ამორჩიეს ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი, ხმოსნებიდან ლორთქიფანიძე და ნაზაროვი, ამორჩეული პირები დაეწერებიან 10 ნოემბერს თბილისში კომისიას, სადაც სხვა წარმომადგენელებთან ერთად ექნება მსჯელობა სიძვირის წინააღმდეგ საშუალების გამოსაძებნათ.

✦ „საქართველოს“ პეტროგრადიდან დეპეშით ატყობინებენ შემდეგს:

„გამოქცეულების საკითხის მომგვარებელმა საგანგებო თათბირმა შეგიწყნარა დ. ჩიაბრიშვილის შუამდგომლობა და გადასდო სამოცი ათასი მანეთი ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ვინკარგულებაში, სპეციალად ომისაგან ტყვეთ ქართველ ოჯახთა ბავშვების მოსაკვლელად“.

✦ 2 ნოემბერს, ქალაქის საბჭომ, ქუთაისის მაზრის უძრავ ქონებათა განმანაწილებელ კომისიაში დასასწრებლათ ამორჩია ალ. კრინიცკი, რომელსაც ენიჭება კომისიაში ერთი გადამწყვეტი ხმა.

✦ საგუბერნიო ექიმის თანაშემწეს, ყოფილ ქალაქის ექიმს მ. ლ. სეგალს ქუთაისის ქალაქის საბჭომ უსახლოობის გამო პენსიაზე უარი უთხრა.

✦ პეტროგრადის დეპეშათა ცნობით, სახელმწიფო საბჭოს წევრი გამფეისტერი ტრეპოვი გზათა სამინისტროს მართველათ ინიშნება.

✦ ამ მოკლე ხანში ინჟინერი ქერდიანი ქუთაისს ეწვევა. მას უკვე დაუტარებია ქუთაისის ქალაქის წყალსადენის გეგმა.

ხანელე. (არ უპასუხებს.)

პესლი. ღმერთი აპატიებს...

ხანელე. (ბავშურათ) გესმით, როგორ სისინებს ქარი? გესმით, როგორ სტირის ის?—ეს ისა არის, ის!..

პესლი. ბავშო, ხვალ ჩვენ ყველანი სატირლათ წავალთ იქ!... სიჩუმეა...

ხანელე. ქარი ლაპარაკობს... გზაში მესმოდა მისი ძახილი... „ხანელო“ მე მახდა. უყურეთ...

პესლი. (ქვითინით) მხოლოდ დედაშენს დასჯის ღმერთი... მხოლოდ დედას!.. (შემორბის გენახი).

გენახი. თქვენ აქა ხართ? დამეხმარეთ... უბედურება მოგველის... წესქვილი მღლუპება... წესქვილი...

პესლი. (სტირის) ყველაფერი დაღუპა, გენახ „მორჩა“ ყველაფერი გათავებულია...

გენახი. თვა ნემსებათ მექცა... წამოდით ჩემთან... დამეხმარეთ... ვიღუპები...

პესლი. (ხელს იმტვრევს) წავიდეთ შვილო... ქარი, ქარიშხალი, უბედურება,—ეს ყველა ჩემს თავზეა..

ხანელე. მე ვერ წამოვალ, ვერა... დედა, ნუ მიხვალ, ნუ მტოვებ აქ მარტოთ!..

პესლი. მან კიდევ არაფერი არ იცის... როგორ გავაგებინოთ ასეთი უბედურება!..

ხანელე. თუ ნებით არ წავყვევი, ძალით წამათრევს სახლიდან... თმით წამათრევს, წამოდი ჩემთანო, დამიწყებს ყვირილს.

პესლი. (სასოწარკვეთილი დაფაცფაცებს ოთახში, დრო გამოშვებით ფანჯარაში იხედება) ის, ვინც აშია, აჩერებს ქარიშხალს, გვეხმარება... დიდება შენდა უფალო (ფანჯარაში იხედება).

ხანელე. მიეხმარე დედა, რათ არ შემიშვეს სახლში?. მინდოდა მენახა... მეთხოვა!.. მეთხარი, დედა, შენ ყველაფერი იცი!..

პესლი. (ფანჯარაში იცქირება) ბორბლები გაიჩერა... წყალი გადუშვა... დადგება შენ, უფალო...

✦ ტყიბულის რკინის გზის შტოზე ქუთაისიდან ორი ვერსით დაშორებულ განზრახულ „პლატფორმას“ რ. გ. ბარათაშვილმა შესწირა სამასი მანეთი, იმ პირებით, თუ „პლათპორმას“ მისი აწ განსვენებულ შვილის სახელი დაერქმევა.

✦ 2 ნოემბერს ქუთაისის ქალაქის საბჭომ დაამტკიცა ნიხრი 10 კვერცხი 28 კ., გირვანქა შემოტანილი (ოსური) ყველი 30 კ. ადგილობრივი 28 კაპ. ეს ნიხრი არ ეხება ბაზარზე შემოტანილ საქონელს.

✦ **პრემია.** წელს ნ. ღოლობერიძის სახელობის თანხის საარგებლიდან დანიშნულია პრემიათ 300 მ. პრემია მიეცა იმას, ვინც დასწერს საკონკურსო თხზულებას შესახებ ქართული ენისა, ისტორიისა, გეოგრაფიისა, ეთნოგრაფიისა, ლიტერატურისა და საზოგადოთ თხზულებას საქართველოს შესახებ. ღოლობერიძის სახელობის პრემიის უპირატესობა ეძლევა ქართულ ენაზე დაწერილ თხზულებას. ხოლო საკონკურსოთ შეიძლება დაიწეროს რუსულსა, ან რომელიმე ევროპიულ ენაზე. დაწერილებით პირობების გაგება შეიძლება ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების კანცელარიაში.

თფილისი.

— გაჭირვება სოფლად. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას სოფ. ლამისყანის საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარე მღვ. მამა კარბელაშვილი, სთხოვს, დაჩქარებით მოგვაწოდეთ სათესლე და საკვები ხორბალი, რადგან ხალხი ეხლავე დიდს გასაჭირს განიცდისო, საკვები სრულებით არ მოიპოვებოო. გამგეობამ აცნობა მამა კარბელაშვილს, ჩვენს კონტრაგენტებს გამოწერილი აქვთ პური, მაგრამ ვაგონების უქონლობის გამო მოტანა გვიანდებაო.

— თავად. კ. ნ. აფხაზის დაბრუნება. სანდო წყაროდან გვაცნობებენ, რომ კავკასიის მეფის მოადგილის დიდ მთავრის თხოვნით თავად კ. ნ. აფხაზს პოლკოვნიკის ჩინი ებოძა და იგი დანიშნულია მეფის მოადგილის განკარგულებაში.

— სამწუხარო ხმა. ქართველობა შორის გავრცელებულია სამწუხარო ხმა, რომ საქართველოს ეგზარხოსის პიტირიმის პეტროგრადში გამგზავრება, სინოდის საზამთრო სესიაში დანიშვნის გამო, უკანასკნელია. და რომ ეგი საქართველოში აღარ დაბრუნდება.

— სახელმწიფო საბჭოს წევრი თავადი ანდრია ერისთავი ერეკლეს ძე, სახელმწიფო საბჭოში, მიემხრო უკიდურეს მემარჯვენეებს (ნეიდგარტოვცებს) და ქართველობას კვლავ დაუკარგა ერთი საგარეული სახელმწიფო საბჭოში.

— პეტროგრადის სააგენტო დეპეშით იტყობინება; შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტება გამოსცა: 1917 წელს ჯარში გასაწვევ იმ პირთ, რომელთაც ოჯახურ მდგომარეობა პირველ ხარისხის შეღავათს ანიჭებს, ვადის განუსაზღვრელად შეუძლიანთ ამ შეღავათის თაობაზე თხოვნის შეტანა, სადაც ჯერ არს.

— რკინის გზის მოსამსახურეთა თხოვნა. მთავრობის მიერ კარგა ხანია გადაწყვეტილია, ქონებრივი დახმარება აღმოუჩინონ მოსამსახურეთ იმ რკინის გზებისა, რომელნიც სამხედრო მოქმედების რაიონში იმყოფებიან. რადგანაც ასეთ გზებს ამიერკავკასიის რკინის გზაც ეკუთვნის, ამიტომ ამ გზის რამდენიმე სადგურის მუშა-მოსახურენი შუამდგომლობენ გზის. უფროსის წინაშე, დახმარება ამოგვიჩინეთ. შუამდგომლობა დასაბუთებულია იმით, რომ პირველ საჭიროებათა სანოვაგე ერთობ გაძვირდა, შრომა მძიმე პირობებშია ჩაყენებული და-რკინის გზის ლიანდაგზე ბევრგან დამპალი ციებაა გავრცელებულია.

მშობელთა წრე.

კვირას, 18 ოქტომბერს, დღის 12 საათზე, ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორის მიერ გიმნაზიის დარბაზში მოწვეულ იყვნენ ქუთაისში მცხოვრებნი მშობლები „მშობელთა წრის“ დასაარსებლად, თანახმად 18 მშობლის განცხადებისა. დირექტორმა გააცნო რა კრებას მოწვევის მიზეზი, წინადადება მისცა მშობლებს ჩამორიგებულიყვნენ კლასებში და თავიანთ შორის აერჩიათ დელეგატები—არა ნაკლებ სამისა და არა უმეტეს ათისა და ამათ რიცხვიდან თითოეულ კლასის დელეგატებს კი—თითო წარმომადგენელი—სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოში დასასწრებლად. კრებამ დაადგინა ხმის უმეტესობით აერჩიათ თითოეულ კლასიდან ხუთ-ხუთი დელეგატი. ამ გვარად არჩეულ იქმნა სულ 45 დელეგატი,

---

გენახი. (ფანჯარაში იხედება) ღაჩეა... შავი, უყურნი ღამე... (უცებ, თითქო გაახსენდა რაღაცაო, ხმა მაღლა) მომიყევით რა მოხდა, როგორ წავიდა საქმე? (უყურებს ხანელეს) როგორ გამოცვლილი ხარ!... გუშინდელ ხანელეს არა ჰგავხარ!

პესლი. საქმე ცუდათაა, გენახ!.. ცუდათ... საშინელი ცოდო ჩავიდინეთ ჩვენ.. საშინელი...

ხანელე. მან არ გვაპატია!... (სიჩუმეა).

გენახი. ის მოითხოვს თავისას!.. ის ითხოვს კიდეც!...(თავში ხელს იშენს)ცუდათაა საქმე: ღმერთმა დაგვტანჯა!... მისთვის იყო, რომ წესქვილი გვენგრეოდა... ღმერთს უნდოდა აღგვა ჩვენი... წესქვილიდან დაიწყო... არა, წაყრუება არ უნდა ამ საქმეს! (ყველას) წავიდეთ რაბინთან!.. ნუ ვიგვიანებთ!.. (გაშტერებული სდგას)

პესლი. (ახლოს მიდის გენახთან და შეშინებული შესცქერის)

ხანელე. (შეშინებული) მამა!.. თმა შენი... წვერი შენი... გათეთრდა!..

(ფარდა)

სურათი მესამე.

(საღამო ხანია, მარჯვნივ მოჩანს ისლით დახურული სახლი გენახისა, სახლის წინ სდგას გრძელი სკამი. სახლის უკან მოჩანს ქარის წესქვილი. წესქვილის გვერდით საურმე გზა მიჰყვება.)

ზენახი. (სკამზე ზის, ხანელეს იკრავს გულში)

საჭიროა ტყეში წავიდეთ და შეშა მოვიტანოთ! ქარმა საკმაოთ დაამტვრია ხეები, (ცას შესცქერის) ცა ისევ ცუდ ამინდს გვპირდება! (სიჩუმეა).

ხანელე. რა არის, რომ დედა ასე იგვიანებს! ავერ ღამდება კიდეც!..

გენახი. შენი დედა მწუხარებისაგან ცარ არის! დღე და ღამ ძალი არ მოსდის!

ხანელე. (ცას უყურებს) მამა, ყოველ ღამ, როცა დასაძინებლათ წამოხვალ.. მაგრათ დაავი წესქვილის ბორბლები, თორემ მოსალოდნელია დაღუპვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამათ შორის 9 წარმომადგენელი. სასურველი იყო წარმომადგენლებად გასულიყვნენ შკოლის საქმესთან დაახლოებულნი და საკმაოდ გაცნობილნი პირნი ე. ი. მასწავლებლები, რომელთა რიცხვიც დელეგატებში საკმაო იყო, მაგრამ არჩევანმა რაღაც სხვა ნაირი ხასიათი მიიღო და წარმომადგენლებად გავიდნენ კენჭის ყრით უფრო გარეშე პირნი, აქვე მომყავს პედაგოგიურ საბჭოში დასასწრებლად წარმომადგენელთა სია: მოსამზადებელი კლასებიდან—პ. რაფაელოვი. პირველ კლასებიდან—ნოე მხეიძე, მეორე კლასებიდან—გრ. ზავადოვსკი, მესამე კლასებიდან—სერ. პოპოვი, მეოთხე კლასებიდან—ივან. ანჯაფარიძე, მეხუთე კლასებიდან—პეტრე პუშკარიოვი, მეექვსე კლასებიდან—ალ. სობრიევსკი, მეშვიდე კლასებიდან—მღ. იას. კაპანაძე, მერვე კლასებიდან—ივ. პურადოვი. არჩევნების შემდეგ დელეგატები და წარმომადგენლები შეიკრიბენ ისევ ერთად დარბაზში, აირჩიეს დელეგატთა კრების თავჯდომარეთ ბ-ნი ალ. სობრიევსკი, რომელმაც გააცნო კრებას წრის წესდება და დანიშნა დელეგატების საზოგადო კრება 25 ოქტომბრისათვის წრის საბჭოს ასარჩევად. კვირას, 25 ოქტომბერს, მოხდა დელეგატების კრება ალ. სობრიევსკის თავჯდომარეობით. ასარჩევი იყო ათი კაცი; ფარული კენჭით საბჭოში მოხვდენ შემდეგნი პირნი: ქ-ნი შნეიდერისა, ქ-ნი გაბუნიასი, ქ-ნი უსტინოვისა, ქ-ნი მაჭავარიანისა, ექიმი დავით ლორთქიფანიძე, ალ. რომანოვსკი, ალ. პეტროვი სერ. შაგინოვი, ტიხ. ასათიანი და მღვდელი სპ. ლეკვეიშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად: დავით ნაზაროვი, ნიკოლოზ ფოფანოვი და ვლადიმერ ნაცვლიშვილი.

ამით გათავდა ამ დღის სხდომა. შემდეგი სხდომა წრის საბჭოს წევრებისა პრეზიდიუმის ასარჩევად მოხდა ოთხშაბათს, 28 ოქტომბერს, საღამოს შვიდ საათზე; სხდომა გახსნა დელეგატების კრების თავმჯდომარემ ალ. სობრიევსკიმ და წინადადება მისცა საბჭოს წევრთ აერჩიათ ფარული კენჭით წრის საბჭოს თავმჯდომარე, მდივანი და ხაზინადარი. ხმის უმეტესობით არჩეულ იქმნენ თავმჯდომარეთ ექიმი დავით ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე, მდივნად ოლქის სასამართლოს წევრი ალექსანდრე ემელიანის ძე პეტროვი და ხაზინადრათ ტიხონ ალექსანდრეს ძე ასათიანი. არჩევნების შემდეგ საბჭოს თავჯდომარემ დაიჭირა თავისი ადგილი და მოხდა თათბირი საწევრო წლიური გადასახადის რაოდენობის შესახებ. დაადგინეს თითოეულმა დელეგატმა გადაიხადოს წელიწადში ორჯერ თითო მანეთი. ვისაც სურვილი და შეძლება ექნება მეტს შემოიტანს. იმ საღამოსვე შეიკრიბა 50 მანეთზე მეტი, რომელიც ჩაიბარა ხაზინადარმა.

მიზანს „მშობელთა წრის“ დაარსებისას, მის დანიშნულებას და წრის წესდების საყურადღებო მუხლებს შემდეგში გავაცნობ მშობლებსა და მკითხველ საზოგადოებას

ლადო ბზვანელი

თეატრი და ხელოვნება.

ქართველთა შორის თანდათან გამოდიან ნიჭიერი მომღერალნი, რომელნიც ერთ დროს დაამშვენებენ ქართულ სცენას და შეჰქმნიან ქართულ საოპერო დასს, რაც დიდი წარმატება იქნება ქართულის ხელოვნებისათვის.

ამ მოკლე ხანში აქ აპირებს კონცერტის გამართვას ახალგაზდა მომღერალი ქალი **მარიამ შავერზაშვილი**, რომელმაც დაასრულა თბილისის სამუსიკო საზოგადოების სასიმღერო კლასი პროფესორ რიანდოვის ხელძღვანელობით.

„ეს არის სიამაყე ჩვენის სასწავლებლისაო“ ამბობდენ ხოლმე მისი მასწავლებლები.

იმედია ქუთაისის ქართველი საზოგადოება გულმხურვალედ შეხვდება შაველაშვილის მომავალ კონცერტს და თავის დასწრებით გაამხნევებს ახალგაზდა მომღერალ ქალს.

ფანაგრძნობა და ზნეობრივი გამხნევება—აი ის უმთავრესი ფაქტორები, რომელსაც საშუალებას აძლევენ სამოღვაწეოთ განმზადებულ ახალგაზდებს თამამათ შესდგენ ცხოვრების ეკლიან გზაზე და ღირსეულათაც დაამთავრონ თავისი საპასუხური სამშობლო ხელოვნებისადმი.

X.

გენახი. თუ კი მომეხვარება! (სიჩუმე)

ხანელე. მამა, როგორ არ გწყინდება, რომ მთელ დღეებს და ხანდისხან ღამეებსაც კი მარტო ატარებ ხოლმე.

გენახი. მამა შენს არ უნდა მხიარულება!.. კარგა ხანია ჩაუქრა მას ვარსკვლავი მხიარულებისა! (ცას შესცქერის) ცა ისევ ცუდ ამინდს გვიქადის. (სიჩუმე.)

ხანელე. პაიე რათ არ მოვიდა დასაფლავებაზე? რათ არ მოვიდა, მამა? (გენახი სდუმს. თავს ჩაქინდრავს, ხანელე უყურებს მას და პასუხს უცდის. გზაზე გამოჩნდება მთხოვარა, რომელსაც დიდი ტომარა ჰკიდია. მარცხენა მხარზე შავი, დახეული ჩანთა აქვს გადადებული, ხელში ჯოხი უჭირავს. მთხოვარა სახლს მიაშურებს: ისინი ვერ შენიშნავენ მას.)

პირველი მთხოვარა. (ახლოს მიდის მათთან) საღამო მშვიდობისა!.. (ხანელე და გენახი შეკრთებიან.)

გენახი. (იცინის) შოლემ—ალეიხემ! (გამარჯობა) საიდან მოემგზავრები?

პირ მთხ. ალეიხემ—შოლემ! (გაგიმარჯოს) ღამემ მისწროს! დასვენება მინდა! (ტომარას ძირს სდებს).

გენახი. შორიდან მოდიხარ?

პირ. მთს. დღეს სულ ცოტა ვიარე.. ღამე მახლობელ სოფელში გავათიე, აქედან სულ რვა ვერსია:

გენახი. რვა ვერსი? რა ცოტა გაგივლია!..

პირ. მთხოვ. (ჯდება) ეხ... რა აუტანელია ჩვენი მდგომარეობა!.. ყოველ დღე უნდა დაეხეტებოდე და ხელი სამოწყალოთ უნდა გქონდეს გაშვერილი, რომ შიმშილით არ მოკვდე!.. უჰ, როგორ მოვიქანცე!.. ფეხები არ მემორჩილებიან!.. (ამოიოხრებს) სიყმაწვილის დროს ცხენიც ვერ დამწვდებოდა... ეხლა კი დავბერდი, აღარ შემიძლია... ღონე მომაკლდა.-.

გენახი. (ამოიოხრებს) ხანდისხან ერთ ღამეს მოხუცდები...

ერთ ღამეს!...

პირ. მთხ. (აჩვენებს ხანელეს) ეს შენი ქალია?

გენახი. დიახ, ერთად ერთი!..

პირ. მთხ. ჰე!... ჰე!.. (სიჩუმე)

გენახი. ერთს გკითხავ, არაფერს არ ლაპარაკობს ხალხი?

პირ. მთხ. ცვლილებაზე თუ?

გენახი. არა, მე ისე გეკითხები... ქარი იყო აქეთ ძლიერი!..

პირ. მთხ. ხა, ხა, ხა, ხა... ამაზედ მეკითხები. ქარი კი ძლიერი იყო... ერთიან გლეჯდა ყველაფერს! (სიჩუმეა.)

გენახი. (უჩვენებს წისქვილზე) ხედავ, ნანგრევებია იქნებოდა ეხლა, რომ ღმერთს არ მოეხედა ჩვენთვის!..

ხანელე. (მთხოვარას) მარტო მამამ გადაარჩინა დაღუპვას!

პირ. მთხ. წყალს ვერ ვიშოვით! ხელები მინდა დავიბანო! საღამოის ლოცვა ჯერ კიდევ არ მილოცნია.

გენახი. მოუტანე, შვილო წყალი!

ხანელე. (გარბის წყლის მოსატანათ).

პირ. მთხ. გასათხოვარი ყოფილა შენი ქალი! დროა ბედნიერება ნახონ მისმა მშობლებმა!

ხანელე. უნდოდა შეყურებ ამასვე.

პირ მთხოვ. უპატრონო მთხოვარს ღმერთი ყოველის მხრიდან უცქერის!..

გენახი. ეს მართალია, მართალი, ხანდისხან ადამიანი შესცოდებ ღმერთს! ცუდ საქმეს ჩაიდენ! მე ვიყავი უბრალო მართალი ადამიანი, მაგრამ ხედავ, (უჩვენებს გათეთრებულ წვერს) ერთ ღამეს გამითეთრდა ეგ! ერთ ღამეს!.. (ამოიოხრებს).

ხანელე. (მოაქვს წყალი) მე ახალ, ჭის წყალს მოგიტან, თუ ინებებთ!

პირ. მთხ. აღარ არის საჭირო, მშვენიერო ქალო!

გენახი. (მათხოვარი ცას უყურებს) როცა ატყდება ქარიშხალი, ყველაფერს დაგლეჯს.

პირ. მთხ. დროა ლოცვისა, ლოცვისა!.. (ხელს იბანს).

ხანელე (გენახს) სთხოვს მას, რომ ამაღამ ჩვენსას დაიცადოს!

გენახი. (მათხოვარს) შეგიძლიათ ჩვენსა დაიცადოთ, თუ ისურვებთ.

პირ. მთხ. კარგი იქნება, კარგი, კეთილო ადამიანო!..

პროვინციის ცხოვრება.

თერჯოლის საზოგადოება.

წრევანდელმა მოუსავლობამ ადგილობრივი მკვიდრნი სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. სიმინდის მოსავალი ძალიან ნაკლები იყო. შარშანდელთან შედარებით მესამედიც არ მოსულა. ღვინის მოსავალზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია, ისე გაანადგურა ვენახები უწვიმლობამ და ცუდმა ამინდებმა. ხალხს შიმშილით ამოქოლტა მოელის. ერთად ერთი ხსნა დახმარებაშია. ასეთ გაჭირვების დროს მთავრობა შარშანდელ სესხს ახდევინებს ხალხს და ეს კიდევ უფრო უარესებს ხალხის უმწეო მდგომარეობას. ამ დღეებში ამ საზოგადოების შვიდმა სოფელმა თავი მოიყარა იმის გასარკვევათ, თუ რა გზას დასდგომოდენ, რომ შიმშილისაგან თავი გადარჩინათ.

ყრილობამ ამოირჩია ბ. სიმონ არქიფოს ძე ჯანელიძე და მიანდო აღძრას შუამდგომლობა ქუთ. გუბერნატორის წინაშე, რათა ლოფელ თერჯოლაში გახსნან სიმინდის საწყობი საკვები თანხიდან, და ეთხოვოს აგრეთვე ბ. გუბერნატორს იშუამდგომლოს უმაღლესი მთავრობის წინაშე, რომ შარშანდელი სესხის გადახდევინება მომავალ მოსავლამდი დააცადონ ხალხს. ბ. გუბერნატორი, ხალხის რწმუნებულს დაპირდა შუამდგომლობის დაკმაყოფილებას, ხოლო სიმინდის მიტანა ზესტაფონის სადგურიდან თვით ხალხმა უნდა იკისროს და სიმინდის საწყობიც ხალხმა უნდა იშოვოსო ს. თერჯოლაშიო.

X.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

გურია. სეკტემბრის შუა რიცხვებში მოხდა ოზურგეთში საკრედიტო ამხანაგობათა წარმომადგენლების კრება. კრება ბევრ საყურადღებო საკითხს შეეხო და შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა:

რადგანაც დღეს ხალხი უკიდურეს გაჭირვებას განიცდის ტმოკლებულია ყოველგვარ საშვალებას უპირველეს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისაც კი, ყრილობა საჭიროთ სცნობს გადადებულ იქნას ვადა საერობო და სახელმწიფო გადასახადებისა უკეთეს მოსავლამდე.

ყოველივე ზემოყვანილ ზომებს კრება აღიარებს ერთდროულათ, ამიტომ კრება აღიარებს, რომ ხალხს სჭირია ფართო თვითმართველობა, რომელიც გაუძღვება ხალხის ისეთ მოთხოვნილებებს. როგორც არის: მეურნეობა-მრეწველობა, სახალხო განათლება, გზები და სხვა. რადგან ყოველივე ამის გაძღოლა შეუძლია მხოლოდ ერობას, სიეზდი ერთხმად აღიარებს მის შემოღების დაუყოვნებლივ საჭიროებას. სიეზდი ირჩევს ბიუროს, ოზურგეთის საკრედიტო ამხანაგობასთან, რომელსაც მოყავს სისრულეში ყველა დადგენილებანი დღევანდელი ყრილობისა და მოვალეა სიმინდის ყიდვა გაყიდვაში ისარგებლოს ყველა იმ ორგანოებით, რომელიც უფრო შესაფერი იქნება ამ მიზნისთვის. ბიუროს ევალება აგრეთვე მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ რაც შეიძლება მალე დაარსებულ იქნეს წვრილი კრედიტის ამხანაგობათა კავშირი.

მომხმარებელ საზოგადოებათა და წვრილი კრედიტის დაწესებულებათა შორის, თანახმად წესდებისა 12—27 მაისის 1905 წ., სიეზდი ალნიშნავს გაეხსნას საკრედიტო ამხანაგობათა კრედიტი მომხმარებელ საზოგადოებებს ნორმმას ზევით, არა უმეტეს 1000 მანეთისა, ხოლო თუ მეტი გახდეს საჭირო, აღიძრას შუამდგომლობა მთავარ სამმართველოში. დაარსდეს საშუამავლო და საგირავნო ოპერაციები თხილის, ბარკის და თამბაქოსი, სადაც კი ეს საძღებელია, რისთვისაც ეთხოვოს სხხელმწ. ბანკს საჭირო თანხა; მიენდოს ბიუროს და ამხ. წარმომადგენლებს ადგილობრივ პირობების მიხედვით შემოიღონ ასეთი ოპერაციები.

აღიარებს-რა, რომ მობარებული ფულები ამხანაგობას აძლიერებს, ადგენს-მიდებულ იქნას ყოველივე ზომები, გააძლიეროს კლიენტების რიცხვი; მიიღოს ყოველივე ზომები, რათა ოზურგეთის ფული და სასურსათო თანხა ინახიზოდეს ამხანაგობათა კასაში. ამის გასაადვილებლათ კრება საჭიროთ სცნობს ოზურგეთში დაჩარებით დაარსებულ იქნეს ხაზინა და მასთანვე ეთხოვოს ინსპექტორს, გაუხსნას ამხანაგობებს შესანახი ფულის დასაზღვევი თანხა.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

„ვაზეთ ზვირთის“ უკანასკნელ ნუმერში მოთავსებულია ამავე გაზეთის ქებადიდება და ქვეშ აწერია „ქუთაითურ მოწაფეთა ახალგაზდობა“.

ქუთაიურ მოწაფეთა მრავალ რიცხოვან ჯგუფის მონდობილობით, ნება მიბოძეთ გამოვაცხადო, რომ ჩვენ არ ვიცით ვინ არიან ეს „ქუთაისის მოსწავლე ახალგაზდობა“ და ვფიქრობ ეს ამ ბოდით ასეთის აღტაცებით, რომელიც ჯერ-ჯერობით ტრაბახის მეტი არ არის-რა.

ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ხოლმე ყოველივე ახალ ქართულ ორგანოს, მაგრამ ნება კი გვაქვს ჩვენი საკუთარი აზრი ვიქონიოთ მის შეფასების დროს და როცა არავისათვის არ მიგვინდია „ზვირთის“ ხოტბა-დიდება, რათა კისრულობს პატივცემული რედაქცია ითქოს ოროლა ახალგაზდის „გრძნობა“ მთელ ახალგაზდობას მოგვახვიოს თავს?

ეს ვერ არის ლამაზი საქციელი და ამიტომ ვაცხადებთ ჩვენს უკმაყოფილებას.

ჯგუფის მონდობილობით **ერთი მოწაფეთაგანი.**

სოფლის ჭირ-ვარამი.

წერილი მესამე

სოფლის „ინტელიგენცია“

სოფლის „ინტელიგენციას“ შეადგენს თითო-ოროლა მემამულე თავადი ან აზნაური, მღვდელი, მასწავლებელი და სოფლის მწერალი.

რა გვარი დამოკიდებულებაა გლეხსა და მემამულის შორის, ამაზე წინა წერილში მქონდა მოხსენებული.

რას წარმოადგენს სოფლის მწერალი, მგონი, ყველამ კარგად იცის. ე. ნინოშვილის „მოსე მწერალი“ ტიპია სოფლის მწერლისა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ ზოგს მოსე ჰქვიან, ზოგს პეტრე, ზოგს ოხისიმე, ზოგი ძალიან გაიძვერაა, ზოგი ნაკლები, მხნეობა და მოქმედება მათი კი ერთი და იგივეა. ჭკუითა და სწავლით ის სოფლის გლეხზე მაღლა სდგას, ძალა ხელში უჭირავს და ჭკუასა და ძალას ყოველგვარი საშუალებით პირად ინტერესების სამსახურს ანდომებს.

მამასახლისი, მწერალი და ქრთამი ეს სამი საგანი გლეხის გონებაში განუყოფლადაა ჩასახული. მამასახლისი ვერ დაუშორებია მწერლისაგან. და ორივენი ერთად ქრთამისგან. ორივესთან დამოკიდებულება აქვს იმდენად, რამდენად ეს სოფლის მართვაგამგეობას შეეხება. სხვა საქმეში, სხვა სფეროში მათში საერთო არა არის-რა.

დარჩა მღვდელი და მასწავლებელი.

ერთი სულიერი მამაა სოფლისა, მეორე განმანათლებელი.

ერთი ღვთის მსახური, მეორე ციერილი-

ბესლი. (გამოჩნდება ზურგზე ბოღჩა ჰკიდია. სახე თან და თან უბრწყინდება, რა დაინახავს უცხოს. ბოღჩას ჩამოიდებს. აღტაცებით.) ღმერთო, შენ შეისმინე ჩემი თხოვნა!..

ხანელე. (ჰკოცნის დედას) დედა, შენ გახარებული ხარ... გახარებული...

გენახი. (უცქერის მათ გაკვირვებით).

ბესლი. შენ ვინ მოგიყვანია აქ, კეთილო ადამიანო...

პირ. მთხ. დამემ გამომგზავნა აქ... წინათ, როცა ახალგაზდა ვიყავი, თუ ღამე ებრაელის სახლთან არ მისწრებდა, მინდორში, ან ქუჩაში უნდა გამეთია ღამე... ეხლა კი თვით ღმერთმა დამილამა აქ!.. კეთილ ადამიანებთან!..

ბესლი. (მათხოვარს) ღმერთმა გამოგზავნა აქ!.. ჩემი სახლი ღიაა თქვენთვის ჩემი პურმარილი თქვენთვისაა გამზადებული... გენახ, მე დღეს მახლობელ სოფლებში, ბიჭებს დავგზავნი... შეიძლება კიდევ მოინახოს მგზავრები და მათხოვრები... მე ყველას მოვუხმობ აქ!.. მზესთან ერთად მეც ავდგები და ვილოცავ მათთვის!..

პირ. მთხ. თავისუფლათ ვსუნთქავ ასეთ სახლში!.. სტუმართ-მოყვარეობა, სტუმართ-მოყვარეობა! სწორეთ ეს იხსნის ადამიანს!..

გენახი. (გაკვირვებული) ვინ ათქმევინა შენს ენას ასეთი წმინდა სიტყვები?

პირ. მთხ. დიღლილობას აღარ ვგრძნობ ეხლა... თითქოს ვამაწვილდები კიდეც! (სახე უბრწყინდება)

ბესლი. (უცქერის გენახს).

გენახი. ჩემი გული ნათლდება! (ბესლეს) მე მინდა გავიგო მიზეზი შენის მხიარულებისა!.. მე მახარებს ეს!.. თითქოს სანთლები ანთებულან შენ თვალებში!

პირ. მთხ. გვიამბე, გვიამბე რა მოხდა?

ბესლი. მან ასე მიბრძანა. მან მითხრა, რომ ყოველი მოშავალი გამჩერებია და პატივი მეცა... მეთქვა მათთვის ჩემი გულის მწუხარება... ყველამ შეეგებოროს ღმერთს ჩვენთვის და ჩვენი ხანელესთვის. (ეხვევა ხანელეს) ჩემო სიცოცხლეო... ჩემო ძვირფასო... ცხოვრებაო... მთელმა ქვეყანამ შესთხოვა ღმერთს შენს მაგივრათ!

ხანელე. (იკვრის გულზე დედას: თან გაკვირვებულათ უყურებს).

გენახი. (გაფითრებული) ნუ აჩქარდები... შვილო ჩემო... ნუ აჩქარდები! გული ვერ დაიტევს ასეთ აჩქარებულ სიხარულს... ზედმეტი სიხარული გონებიდან გადიყვანს ადამიანს...

პირ. მთხ. მიამბეთ მალე, მიამბეთ რაა შია საქმე?

ბესლი. ყოველ დღეს შევჩივლებ გამგლელთ ჩემს ამბავს, რომ მათ შემაგებინონ ღმერთს. მე შევცქეროდი აღმოსავლეთს, დასავლეთს, სამხრეთს ტჩრდილოეთს. ყოველი მხრიდან მოველოდი შველას... და დღეს კი მივიღე პირველი ნიშანი... დედის ცრემლები ღმერთს კეთილათ შეუწირავს!.. (ატირდება სიხარულით.)

პირ. მთხ. (ხანელეს) ღვთის მოყვარულო, კეთილო ბავშო, მიამბე რა მოხდა?

ხანელე. (იწმენდს ცრემლებს, რომლებიც დედის თვალებიდან ეცემა) დედა, შენ სტირი?

ბესლი. სიხარულისაგან მომდის ცრემლები... მე განვიბანები—ცრემლებით... შვილო ჩემო..

გენახი. მოყვეი თუ გულმა გასძლო! მეორეჯელ გათეთრება არ ძალმიძს...

ბესლი. ჩემი სახლი სავსე იყო ცოდვებით, რომლებიც მევე ჩავიდინე... შენს მოსვლამდე ეს ცოდვები ჩემს ფანჯარასთან იმალავდენ თავს!...

პირ. მთხ (ცოტა შეშინებული) რა მოხდა?

ბესლი. დაწყევლილი ქალი ვიყავი მე... ათი წელი გავატარე ჩემს ქმართან, მაგრამ მას, ვინც ცაშია, არ უნდოდა გვეგებედნიერებიე შვილით. მეთერთმეტე წელს თხოვნა ჩემი იქნა შეწყნარებული და მე მეყოლა ქალი. მეორეჯელ გადმოვიდა ჩემზედ მოწყალება და ღმერთმა მეორე ქალიც მაჩუქა... ბედნიერებით აივსო ჩემი სახლი.

გენახი. (ჩაფიქრებული) მართალია, მართალია...

ბესლი. როგორც პურის თავიანი, ისე მეზრდებოდა შვილები!... მე ვცდილობდი სახელი არ დამეძახა მათთვის, რათა მეშინოდა ზედმეტათ არ სჩვენებოდა მას, ვინც ცაშია. უფროსი როხელე,—მზესავით ანათებდა... მაგრამ ღმერთს არ სწადდა მისი აქ გაჩერება და კიდეც წაიყვანა... (გულზე იკრავს ხანელეს) და დამრჩა მხოლოთ ეს!... დედის ერთა!... ჩემი ძვირფასი ხანელე... ჩემი სიცოცხლე... დავნიშნე ეს ერთ ყმაწვილზე, მაგრამ საქმრო ძმიმე ავათ შეიქნა... მთელი წელი იწვალა უბედურმა... ისე გახმა, ვით ჯოხი. ჩვენ ვსტიროდით, ვსთხოვდით, ეპატიებინა ფიცის გმტეხა, მაგრამ ის არ გვიპასუხებდა...

პირ. მთხ. (გაკვირვებული) შემდეგ?

გენახი. ფიცი გავტეხეთ!...

პირ. მთხ. ეხლა?

ბესლი. ეხლა... ეხლა... უკვე დამარხულია... მაგრამ ის, ყოველ ღამ მოდის და თავისას მთხოვს!... ყოველ ღამ მოდის!.. ყოველ ღამ!.. (ამოიოხრებს) (სიჩუმეა)

პირ მთხ. სამწუხაროა!... სამწუხაროა!...

ბესლი. ბევრის ლოცვა შეიწირება ღმერთთანო მითხრა რაბინმა, როცა მასთან საკითხავათ ვიყავი. ამისათვის—შენი სახლი გადააქციე ქვრივ—ობოლთა, დარიბთა და გამვლელთა თავშესაფარათ და ყველას სთხოვე შეეგებოროს ღმერთსო—და მეც ისე ვიქცევი. დღეიდან ყველასთვის ღიაა სახლი ჩემი... ყველას შეუძლია ღვთის პურმარილი მიიღოს. მე ყველას მონა ვიქნები!.. ვემსახურები რითაც შემიძლია (თავის ხელით ხსნის ჩანთას მთხოვარას.) მობრძანდით, მობრძანდით ღვთის სახლში.

ხანელე. (ეხმარება)

პირ. მთხ. დიდი გულკეთილობაა საჭირო, დიდი!..

გენახი. (მთლათ კანკალებს) მე მზათა ვარ... მზათ!...

(ფ ა რ დ ა.)

(დასასრული იქნება).

ზაციისა და კულტურის წარმომადგენელი.

ორივენი მოწვეულნი არიან, რომ შეიტანონ სოფელში სინათლე, სათნოება, კეთილშობილება, პატიოსნება და სხვა, რაც კი კულტურულად ამაღლებს და ზეცას უახლოებს ადამიანს.

ორივენი გლეხისთვის უნდა იყვნენ მაგალითნი კულტურულად ამაღლებული ადამიანისა. გლეხი თავის თვალით უნდა ჰხედავდეს მღვდელსა და კეთილშობილების ძალას. გულით უნდა იგრძნოს, რომ ადამიანის თვისებას მარტო ბოროტება არ შეადგენს, რომ სწავლა-განათლება, გონების განვითარება იმიტომ კი არ სჭირია ადამიანს, რომ უფრო მოხერხებითა და უფრო ადვილად გააძროს ტყავი თავის მოძმეს. რომ მძარცველ-მგლეჯელის გარდა ქვეყანაზე არის კეთილი, უანგარო ადამიანიც, რომელიც თავის მოძმეს დახმარებას უწევს მხოლოდ იმიტომ, რომ ეს მის სულიერ მოთხოვნილებას შეადგენს.

ვნახოთ ახლა რა მაგალითს აძლევს გლეხს ეს ორი ზნეობრივად და გონიერულად აღმზრდელი სოფლისა.

აქ საჭიროდა ვრაცხ, ვსთქვა, რომ აქაიქა სოფლებში მოიპოვება თითო-ოროლა მღვდელი რომელიც სინიდისიერად ბ. გონიერულად ემსახურება თავის დანიშნულებას, რომელსაც უყვარს გლეხი, როგორც ადამიანი და არა როგორც მისი მარჩენელი და სცდილობს ცოტად მაინც შეუმსუბუქოს გლეხს გულის ტკივილი, მაგრამ, ნათქვამია, ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო. მათი რიცხვი მეტად მცირეა. უმეტესი მათგანი არამც თუ არ ანვითარებს გლეხის სულს და არ ეხება ტკბილ მალამოდ მის დაწყლულებულ გულს, პირიქით ჰყრენის მის აზრს, ტლანქის ხელით ეხება მის ტკივილებს და ანამტკიცებს მის რწმენას, რომ ამ ქვეყნად სიკეთე არაა, რომ მას ყველა უკეთურად ექცევა და იმასაც აქვს უფლება სხვას უკეთურად მოექცეს.

„მღვდელი რომ ამას იტყვის, მღვდელი რომ ამას ჩაიდენს, სხვამ რაღა უნდა ჰქნასო“—ამბობს გლეხი და სასოწარკვეთილებას ეძლევა.

მიზეზი ამ არა სასურველ მოვლენისა ბევრია, უმთავრესი მათგანი ის პირობებია, რა პირობებშიაც ჩაყენებულია სოფლის მღვდელი და მასწავლებელი. ერთიც და მეორეც გლეხის ხარჯზეა. ერთსაც და მეორესაც გლეხი ჰკვებავს. და, როგორც ზევითა ვსთქვი, გლეხს არ სჯერა უანგარობა იმისი, ვისაც ჰკვებავს. ანგარება კი იწვევს უნდობლობას და უნდობლობასთან ერთად სიძულვილსა და მტრობას.

მაგრამ ამ გარემოებას რამდენად შემოუვლიდა და ცოტათი მაინც გააქარწყლებდა ღირებულ თვისების მქონე ადამიანი. რაც გინდა ძალიან იყვეს გადახლართული გლეხის ინტერესები სხვის ინტერესებთან, ამ უკანასკნელის კაი-კაცობას და ცუდ-კაცობას მაინც აქვს ადგილი. მღვდელი და მასწავლებელი ზნეობრივად და გონებრივად რომ მაღლა იდგეს ჩვენს სოფელში, რომ მათ პირად ინტერესების გარდა, გლეხის ინტერესიც სწამდეს, რომ მათ უყვარდესთ გლეხი და მისთვის გული შესტკივოდეთ, საქმე ისეთ ცუდ მდგომარეობაში არ იქნებოდა, როგორც დღეს არის.

გლეხი ყოველგვარ მატერიალ გაჭირვებას შეურიგდება, ოღონდ ნუ შეურაცხყოფ, ნუ შელახავ მის ადამიანურ გრძნობებს, ოღონ პირუტყვსავით ნუ მოეკიდები.

სოფლის მასწავლებელზე ბევრი არა ითქმის რა. ესენი მომეტებულ ნაწილად ყმაწვილი კაცები არიან და მასწავლებლობენ ზოგი იმიტომ, რომ საღდასობა თავიდან აიცილონ, ზოგიც იმიტომ, რომ სხვა სამსახური არ შეუძლიან. მისი ჯამაგირი მეტად მცირეა. სარჩენად იგი ერთ კაცსაც არ ეყოფა არამც თუ მას ცოლ-შვილს, ამიტომ ვისაც შნო და უნარი აქვს, ორი სამი წლის მასწავლებლობის შემდეგ სხვა სამსახურში გადადის და მას სცვლის იმ გვარივე ახალგაზდა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ ჟამად სოფლებში მომეტებულ ნაწილად ახალგაზრდა ქალები მასწავლებლობენ. ისიც დროებით, სანამ მეუღლეს იშოვნიან, ამიტომ მასწავლებელთა გავლენა სოფელზე მცირეა, და არცა ღირს მაზე ლაპარაკი. სულ სხვაა სოფლის მღვდელი. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ პირობებშია ჩაყენებული და მისი ზეგავლენა სოფელზე დიდია.

ერთი სოფლის კაცი მეორე სოფლის კაცს რომ შეხვდება, პირველი კითხვაა მისი: როგორი მოსავალია თქვენში? მეორე კითხვა: როგორი მღვდელი გყავთ?

მომეტებულ შემთხვევაში ამ კითხვაზე პასუხი რომ არ მოისმინოთ, სჯობიან.

მოკეხსენებათ, რომ მღვდლისა და დიაკვნის სასარგებლოდ გლეხი იხდის ეგრედწოდებულ „დრამას“. არ ვიცი, ეს სიტყვა საიდან წარმოსდგება, ჩემთვის კი რომ გეკითხნათ, ამ გარდასახადს „ტრაგედიას“ დავარქმევდი, რადგან დრამა ძალიან სუსტი სახელია.

ტომრებითა და ჩანახით მიიდგება შემოდგომაზე მღვდელი გლეხს ოჯახს. ჯერ ჩანახზე მოუვათ ჩხუბი,—ეს დიდია, ეს პატარაო. შემდეგ ჭირნახულის ღირსებაზე და შემდეგ დრამის მიტანაზე მღვდლის ბინაზე. ამ ჩხუბის დროს სულიერი მამა და შვილი ისეთი უშვერი პირით ისენებენ ერთმანეთს, რომ ყურებში თითს დაიცავთ. ეს ჩხუბი, ეს ერთმანეთის გინება ხანდახან მთელ წელიწადს გასტანს ხოლმე. მღვდელს თუ მთლად არ მისცეს დრამა, ან თუ ცუდი ჭირნახული მისცეს, ჩუმდება და უკდის დროს, როდესაც გლეხს ან მოუკვდება ვინმე, ან მოსანათლი ეყოლება, ან დასაქორწილებელი. აქ ჩხუბი და აყალმაყალი ახლდება მეტის სიმწარით. გლეხი დაგინება, გაილანძღება, მაგრამ იძულებულია დამორჩილდეს, რადგან მეტი გზა არა აქვს. მკვდარს დამარხვა უნდა, ბავშვს მონათვლა, ქალს გათხოვება.

მღვდელს რომ ჰკითხო, გიპასუხებს: მაშ რა ვქნა, ჩემი და ჩემი ცოლ-შვილის ცხოვრების სახსარი ერთად ერთი ეგ დრამა არისო და მართალიც არის. სხვა შემოსავალი მას არა აქვს რა, მაგრამ საქმე ისა შია, რომ თუ მღვდელმა დაიმსახურა ხალხში სიყვარული და პატივისცემა, გლეხი არ აკადრებს მას ცუდს სიტყვას, გადიხდის რაც გადასახადი აქვს, შეიძლება უგულოდ, მაგრამ მაინც გადიხდის.

ხშირად გლეხი თავისი თვალით ჰხედავს მღვდლის სიხარბისა და სხვა გვარი საქციელის სურათებს, რომელიც დამამცირებელია არამც თუ ღვთის მსახურის ღირსებისა, უბრალო,

ადამიანისაც კი. სირცხვილია ამის თქმა, მაგრამ მაინც უნდა ვსთქვა. სოფლად შეხვდებით ისეთ მღვდელს, რომელიც გლეხის ქორწილში, ან ქელეხში სუფრაზე მიტანილ ცხელ-ცხელ ხორცის ნაჭერს, ისე როგორც არის, კურდულად ჯიბისკენ გაპარებს და სახლში მიაქვს.

სამღვთოს გადახდისა და მკვდრის მოხსენების დროს ხომ აშკარად, ყველას თვალსწრებით, ავსებს ხურჯინს საუკეთესო ნაჭრებით და გლეხს უტოვებს ერთს მესამედს ხორაგისას.

მღვდლის ჯიბე, მღვდლის ხურჯინი, მღვდლის ჩანახი, რომ იტყვის გლეხი, უნდა წარმოიდგინოთ დიდი, ფართო, სამკვიდროდ გაკეთებული რამ ჩასაყრელი.

ხშირად ხედავს გლეხი მთვრალს, ღირსება აყრილს, ტინგიცად ქცეულს მღვდელს უბრალო დუქანში, გზაზე, სხვაგან.

ერთს სოფელში, ერთს მშვენიერ შობის დღეს ხალხს მოეყარა თავი სალოცავად ეკლესიის გალავანში და უკდიდა წირვას. მღვდელი სახლში არ იყო, ხ

ში იყო წასული და უნდა დაბრუნებულიყო. შუა დღე გავიდა, მღვდელი არსადა სჩანდა. ბოლოს იმავე ხ—რიდან ამოვიდა ერთი გლეხი და ეკლესია რომ გამოიარა, იკითხა: რაზედ მოგიყრიათ თავი. უთხრეს: შობა დღეა, წირვის მოსმენა გვინდა, მღვდელს ველითო. თქვენი მღვდელი ხ—ში ღორზე ზის და ბაზარში დაჰენებსო!?! რას ამბობ?! როგორ?! რანაირად?!! თურმე ნუ იტყვით, ეს დალოცვილი ადამიანი დამთვრალა დუქანში, გამოსულა ქუჩაში და დაუნახავს უზარმაზარი, ძალზე გასუქებული რუსული ღორი, რომელიც იქვე ნაგავს სჩიჩქნიდა და ტკბილად ღრუტუნებდა. მთვრალმა მღვდელმა არც აცივა, არც აცხელა, გადააჯდა ღორს და შემოუტია. ღორი გაჰენდა ქუჩაში და რადგანაც მღვდელს ფეხები უზანგოებში არ ჰქონდა გაყოფილი და ხელში არც აღვირი ეჭირა, თავი ვეღარ შეიკავა და შუაკულ ქუჩაში, ტალახში გაიშალა მთელი ბაზრის ხალხის სასაცილოდ...

აღშფოთებულმა ხალხმა ადგილობრივ თავადის დახმარებით დეპეშა გაუგზავნა ეგზარხოსს. საქმე გამოიძიეს და მღვდელი სხვაგან გადაიყვანეს.

მე ვიცნობდი ამ მღვდელს. დინჯი, ღარბაისელი ადამიანი იყო. ზოგიერთ სხვა კარგს ღირსებას არ იყო მოკლებული, მაგრამ უბედურება მისი ის იყო, რომ ღვინოს რომ დალევდა, მთლად კარკავდა გონებას. მაგრამ საქმე ამაში არ არის. საქმე ისაა, რომ ჩვენი გლეხი არამც თუ მარტო მატერიალ გაჭირვებას განიცდის, მორალ საზრდოსაცაა მოკლებული. მისი კეჩა ვერ ძღება, მისი თვალი კარგს ვერას ჰხედავს, გონება მისი, სული, გული ირყვნება, ხასიათი უფუჭდება, ზნეობრივ პრინციპების ვაგებაც კი არა აქვს და ამით აიხსნება ის უკულტურობა, ის ცუდი მხარე გლეხის ზნეჩვეულებისა, რომელზედაც შემდეგ წერილებში მექნება ლაპარაკი.

„საქ.“

სვ. ყ—ნი

დეპეშები.

(პეტ. დეპ. საგენტოსაგან)

პარაზი. 2 ნოემბერი. საღამოს ოფიციალური ცნობა. არტუა—ლიბირინტეში გერმარელებმა მოულოდნელი თავდასხმით შესძლეს ჩვენი პირველი ხაზის თხრილში შემოჭრა ლილის გზის ახლოს, მაგრამ კონტრიერიშით ფიცხლავ მოგერეულ იქნენ, დასტოვეს რა ბრძოლის ველზე დაჭრილები. ოსა—სუშეს მიდამოებში უბრალო საარტილერიო სროლაა. ენანის ჩრდილოეთით ნუვრონის მთის ვაკეზე ჩვენმა არტილერიამ მოხერხებულათა და წარმატებით დაუშინა ყუმბარები გერმანელების საველე სიმაგრეებს. შამპანში მელენის გორის რაიონში და მაასის მარჯვენა ნაპირზე, დესვალეს ტყეში ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა.

ჰაგრი. ბელგიის ოფ. ცნობა. 1 ნოემბერი. დიკსმიუდეს ჩრდილო-აღმოსავლეთით მტრის არტილერიამ მძლავრათ დაუშინა ცეცხლი ჩვენს პოზიციებს. აგრეთვე ავეკაპელე—ოსტკერკესა და კისკერკეშიც მძლავრათ უშენდა ცეცხლს ჩვენს პოზიციებს. ჩვენმა ბატარეიამ ენერგიულათ დაუშინა ყუმბარები მტრის პოზიციებს სენპირკაპელესთან.

რომი. 2 ნოემბერი. ოფიც. ცნობა. ლედროს ჭალებში მტრის არტილერიამ მძლავრად დაუშინა ცეცხლი ჩვენს პოზიციებს ნოკოლო—პარიჩამადორო—როჩიტას ფერდოებიდან, თუმცა ცეცხლს არავითარი ზიანი არ მოუყენებია ჩვენი თავდასაცავი სიმაგრეებისა და ჯარისკაცებისათვის. დანარჩენ ტიროლა-ტრენტისა და კარნის ფრონტებზე, არსებითი ცვლილება არ მომხდარა. იზონცოზე ჩვენ გუშინ წარმატებით ვმოქმედობდით და წინ წავიწიეთ იავორჩნო—ბესიანო— პლეტოსა და გორიცის ჩრდილოდასავლეთით მდებარე მაღლობებისაკენ. ავიღეთ მძლავრათ გამაგრებული პოზიცია სამატრინოს სამხრეთ დასავლეთით.

ჩვენმა ჰაეროპლანებმა, მიუხედავათ ცუდი ტაროსისა, 31 ოკტომბერს რამდენიმე მოხერხებული თავდასხმა მოახერხეს კარსოზე, სადაც ყუმბარები ესროლეს რკინის გზის სადგურებს და მატარებლებს, რომელნიც სადგურებთან იდგნენ გზაზე. ამ თავდასხმის დროს ჩვენმა მფრინავებმა შენიშნეს მტრის ორი ჰაეროპლანი, რომელიც მათ დაედევნენ, მაგრამ ჩვენი მფრინავები ულენბლათ დაბრუნდენ.

ღია წერილი

ექიმ ბრიგოლ კოსტანტინეს ძე ალშიბაიას.

I.

მოწყალეო ხელშწიფევ
ბატონო გრიგოლ კონსტანტინეს ძეგ!

18 ოკტომბერს ჩვენ თანახმად თქვენი გადაწერილი სიტყვისა, მოგელოდით სოფ. ლესაში, მაგრამ თქვენ რადაც მიზეზების გამო არ ჩამობრძანდით და მით ძალიერ უხერხულ მდგომარეობაში ჩაგვაყენეთ ჩვენ, ს. ლესის სამკითხველოს გამგეობა—როგორც ინიციატორი თქვენის მოწვევისა. თქვენგან პირობის დარღვევა ჩვენთვის ჯერეც კამოურკვეველი არის და ამიტომ იქნება კეთილ ინებოთ და კაგვაგებინოთ, თუ რაში არის საქმე?

პატივისცემით ლესის სამკითხველოს გამგეობის მდივანი **მარიამ საღუქვაძე.**

27 ოკტომბერი 1915 წ. ს. ლესა.

II.

ჩემს რწმუნებულს.

მიუხედავათ ჩემის გულწრფელისა და დაუდგრომელი შრომა—მცდინეობისა უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში თქვენს საქმეს, რომელიც ეხებოდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში უმტრესი პარალელური განყოფილების გახსნას თქვენი ხარჯით, საქართველოს ეგზარხოსის მიერ გულმტკივნეული უარი მოჰყვა. ხოლო ვისი მეოხებითაც არის გამოწვეული, ეს უარი, ამას თვით რწმუნებულები მიხვდებიან.

კან. ალად. მელქისედეკ ხელიძე.

სამედიატორო სასამართლო.

გაზ. „აზრის“ №-154 6 ექვნისთვიდან დასტამბულია ვინმე ბ. კუდნეთელის წერილი რომლითაც შეურაცხყოფას აყენებდა ბ ბ ალექსანდრე მიმინოშვილს და ალ. მესხს სხვა და სხვა ბრალდებით და ბ. მიმინოშვილს ჯაშუშათაც ისხენიებდა. წერილის პასუხად ამავე გაზ. „აზრის“ №186 დეკემბრისთვის 17-ს, რომელიც იყო მოთავსებული თანახმად სენზურო კომიტეტის წინადადებით ბეჭდვითი სიტყვის 114 მუხლის ძალით სამედიატორო სასამართლოში აწყვეტდნენ მოხსენებული პირნი ბ „კუდნეთელს“ და ალ. ალ. 7 დღის ვადას მედიატორეების დასასჯელებლად და საქმის გასარჩევად. თავისი მხრით ასჯელებდენ მედიატორეებთ თავ. დ. ფალავანდიშვილს და თავ. ვ. ბაგრატიონ დავითიშვილს. პასუხად ამავე გაზეთ №197 30 ოკტ. კუდნეთელი აცხადებდა თანხმობას სამედიატორო სასამართლოზე და მედიატორეებად ასჯელებდა ბ. გ. ტატიშვილს და ი. ეკეუეიშვილს. საქმის გარჩევის ვადათ უდებ და 1 ნოემბერს.

დეკემბისთვის 22 მედიატორე ტატიშვილმა განუცხადა ბ. ალ. მიმინოშვილს, რომ თავ. ვ. ბაგრატიონ დავითიშვილი, როგორც კომის დამატებული სტენის წევრი არ უნდა იყვეს მოსამართლეთ. ამის გამო გადაეყენებულ იქნა თ. ბაგრატიონ დავითიშვილი და მის მაგიერ დასახელებულ იქნა მდივანი ალ. სახუტაშვილი

დღეს, 1 ნოემბერს, ჩვენ მედიატორენი თავ. დ. ფალავანდიშვილი, მდივ. ალ. სახუტაშვილი ბ. ბ. ს. ბუაჩიძის, ს. ტომაიასი და თ. ჩალაძის თანა დასწრებით შეეკრიბენით ს. კომში, თანახმად კუდნეთელის გამოცხადებისა, ამ საქმის გასარჩევად. მოპირდაპირე მხარე, არც მისი რწმუნებული და არც მისი მედიატორეები არ გამოცხადდენ. რადგანაც მოპირდაპირე მხარე არ გამოცხადა ჩვენ მედიატორეები დავრწმუნდით, რომ მათ სიბუთები არ მოეპოვებათ ბრალდებების დასამტკიცებლად, სასენში ჭმონიათ საზოგადოების წინ მათი გაშვება და საქმის გაწიანურება. ამასთანავე ჩვენ განვიხილეთ ბ. ალ. მიმინოშვილის და ალ. მესხის თავიანთი გამასამართლებელი სიბუთები და ჩვენ დავრწმუნდით, რომ ამ საქმეში უდანაშაულონი არიან და ამ საქმეს დღეიდან მოსპობილად ვცნობთ. ეს დადგენილება გამოცხადდეს გაზ. „აზრში“ „სახალხო ფურცელში“ და სამშობლოში“.

მედიატორეები	1 დ. ფალავანდიშვილი. 2 მდ. ალ. სახუტაშვილი.
დავესწარით.	1 ს. ბუაჩიძე 2 ს. ტომაია 3 თ. ჩალაძე

გერმანეთში მყოფ ტყვეებისა ბის ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ ტყვეებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, [illegible] უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

An die Kommandatur des Kiegsgefangenenlagers
აქ დააწერეთ ლაგერის
ადრესი.
Liebesgaben für bie russischen Kriegsgefangenen
აქ მიურო საკუთარ ბეჭედს დაჭკრავს და ადრესს წააწერს.
Deutschland

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:
suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48,
A. A. Вахерахтъ

ან კიდევ მეორე:
Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

Швейцарія Заказное.
suisse. Recommanbée
Comité International de la Rouge.
Agence des prisonniers de guerre Généve.

რედ.-გამომც. **ი. თ ცინცაძე**

მატარებლების მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს.	50 წ.
„	— ღამის	—11 ს.	30 წ.
ბათომიდან	— დილის	—10 ს.	5 წ.
„	— ღამის	— 2 ს.	23 წ.
ფოთიდან	— დილის	—10 ს.	30 წ.
ტყიბულიდან	— დილის	— 9 ს.	38 წ.
„	— საღამოს	— 7 ს.	39 წ.

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	— 7 ს.	55 წ.
„	— ღამის	— 1 ს.	7 წ.
ბათომისაკენ	— საღამოს	—10 ს.	—
„	— დილის	— 4 ს.	27 წ.
ფოთისკენ	—ნაშუადღ.	— 4 ს.	14 წ.
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს.	40 წ.
„	—ნაშუადღ.	— 4 ს.	20 წ.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა

დიდი იაფი ვაჭრობა

ფეხსაცმელეგისა და საგალანტერიო საქონლისა.

რიგლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.

თვ. პატივისცემით დ. მ. გახტაძე.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია

ალექსანდრე ი. კოსტავასი

თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.

ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსახურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში**, რადგანაც ძუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ. თ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი „სოდა“

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

ლიტოგრაფიული სტამბა ალ. კოხრეიძისა—ქუთაისში

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან